№ 78
ოთხშაბათი, 11 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 78
ოთხშაბათი, 11 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მომავალის მაისის 6 დღესა იმართება ქ. ტფილისში საზოგადოების სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

და საამისოდ არჩეულის კომიტეტის თავმჯდომარედ არის ქნ. ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა, რომელსაც კომიტეტის წევრთა, თუ სხვა თანამგრძნობელ პირთაგან უნდა გაეგზავნოს ყოველივე შემოწირულება. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება აგრეთვე თვითონ „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

ქართული თეატრი
კვირას, 15 აპრილს,
არტისტი-ქალი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა
გამართავს წარმოდგენას ქ-ნ მ. მ. საფაროვის მონაწილეობით.
წარმოდგენილი იქმნება
ხათაბალა
კომედ. 4 მოქ. და 5 სურ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика".

ტელეფონი № 741.

(100—43—9)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის ჯ. გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეჟთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არზანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: შტაბს-როტმისტრობა დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის კირასირის რაზმის პორუჩიკს თავ. ბებუთოვს; კაპიტნობა—სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსის ოფიცერს ბენაშვილს.

მიწერილ იქმნენ განჯის საგუბერნიო სამმართველოსთან ნუხის მაზრის მე-II ნაწილის პოლიციის ბოქაული ხოჯაშვილი.

მთავრობის განცხადება.

გასულ იანვრის მეორე ნახევრიდგან თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მოხდა სტუდენტთა არეულობანი, რამაც სწავლის შეწყვეტა გამოიწვია. სწავლის შეწყვეტამ ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო საქმე, რომ მოსწავლეებს უნდა დაეკარგოს მთელი წელიწადი, ზოგიერთებმა კი, არსებულ წესებით, სრულიად უნდა დაანებონ თავი სასწავლებელს. ამ გვარი შედეგი მეტად შემაწუხებელი იქნება მოსწავლეთათვის. უმაღლესის ბრძანებით მოწვეულმა საგანგებო კრებამ, შემდგარმა სასწავლებელთა უწყების უფროსებისაგან, საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტა საქმის მოწყობისათვის შემდეგი ღონისძიებანი მი-

---

ფელეტონი

მარიამ შოტლანდელი

ხუთ მოქმედ. დრამა
თხზ. ბერნსტერნ ბერნსონისა.
თარგმანი ინ-ანისა.
(შემდეგი *)

გამოსვლა VI.
რიჩჩიო და სტიუარტი.

რიჩჩიო. როგორცა ვხედავ, მილორდს დღისითაც-კი მოჩვენებები არ ასვენებენ. განდევნილს მურრეის ინგლისში ლამის სული ამოჰხდეს, მისი მომხრეები ხომ უარესს დღეში არიან. ელისაბედიც დახმარებაზედ უარს ეუბნება. იგი მხოლოდ იმასა შველის, ვისაც ბედი ულიმის. მაშ, რა გზით-ღა ფიქრობენ შოტლანდიაში კვლავ აჯანყება მოახდინონ?

სტიუარტი. არა, monsieur, აჯანყებაზედ არ გელაპარაკებოდით, უფრო უარესს ფიქრობენ!

რიჩჩიო. აჯანყებაზედ უარესი რაღა იქნება?

სტიუარტი. საიდუმლო მკვლელობა!

რიჩჩიო. (შეშინებული). საიდუმლო მკვლელობა! ყოვლად წმიდა ქალწულია მფარველი თვისის მართალი საქმისა და მის ერთგულ მსახურთა!

სტიუარტი. მე კი მაინც გირჩევთ, monsieur, სასახლეს დარაჯი მოუმატოთ.

რიჩჩიო. გმადლობთ, მილორდ, მაგ კეთილის რჩევისათვის.

სტიუარტი. ჩემმა დამ კარგად იცის, რომ ამ ველურს ქვეყანაში სამჯერ უკვე ჰსურდათ მისი მოკვლა. ეხლა-კი შეიძლება სხვისი ვისიმე მოკვლაცა ჰქონდეთ განზრახული.

რიჩჩიო. ვითომ ვისი, ვისზედ გაქვთ ეჭვი, მილორდ?

სტიუარტი. გეცოდინებათ უთუოდ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას არ უყვარხართ.

რიჩჩიო. წმიდაო ანტონ პადუანისაო, ჩემო მფარველო, შენ დამიხსენი ბოროტ ხალხისგან. ჩემი დიდებული მფარველი დედოფალი, იმედია, მოწყალებას არ მომაკლებს და დამიფარავს.

სტიუარტი. Monsieur, კაპიტანს ერსკაინს უნდა მოელაპარაკოთ,—მფარველობას იგი გაგიწევთ.

რიჩჩიო. გმადლობთ, მილორდ! ვეცდები მოველაპარაკო.

სტიუარტი. თქვენთვის-კი არა, monsieur, ჩემის დისათვის, რომელიც მაგდენად გწყალობს—მე უკვე ვუთხარი ერსკაინს. Monsieur, კოტილიონი მიცდის.

გამოსვლა VII.
რიჩჩიო და ლეტინგტონი.

რიჩჩიო. საიდუმლო მკვლელობა! (უკან შემობრუნდება, ლეტინგტონს დაინახავს და შიშისაგან შეხტება).

ლეტინგტონ. როგორ, გეშინიანთ, რომ არ მოგკლათ?

რიჩჩიო. ვინ გითხრათ?

ლეტინგტონ. მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს. გრაფმა მორტონმა გამომგზავნა. გეცოდინებათ, რომ თქვენთან საუბარი მორტონს არაფრად ესიამოვნება.

რიჩჩიო. ეჭვი არ არის, საქმეს მოიგებს, როდესაც ასეთი თავაზიანი შუაკაცი ჰყავს.

ლეტინგტონ. ხოლო თვითონ მორტონს-კი უფრო დიდის კაცისაგანა აქვს მონდობილება.

რიჩჩიო. ვისგან?

ლეტინგტონ. მურრეისაგან.

რიჩჩიო. განდევნილ მეამბოხესაგან? მაშ ერთმანეთთან დამოკიდებულება აქვთ?

ლეტინგტონ. მაგის შესახებ სჯობს თვითონ მორტონსა ჰკითხოთ.

რიჩჩიო. მურრეისა და მის თანამოკავშირეთა საქმე ჩემთვის სრულიადაც არ არის საყურადღებო.

ლეტინგტონ. მაგრამ, ვინ იცის, იქნება იყოს.

რიჩჩიო. არა მგონია (დაჯდება).

ლეტინგტონ. (თავისთვის) ჯდება... ისაც ჩემთან!

რიჩჩიო. დაბრძანდით, ბატონო სტატს სეკრეტარო.

ლეტინგტონ. დიდად მავალებთ, ბატონო პრივატ-სეკრეტარო (დაჯდება, ნახევრად მხარს შეაქცევს და ფეხებს სკამზედ დააწყობს). დავით რიჩჩიო, ხომ არ იცით, სუსტი რამ მიდრეკილება ხომ არა გაქვთ-რა?

რიჩჩიო. პოლიტიკოსისათვის ასეთი მიდრეკილება დიდად საშიშია.

ლეტინგტონ. ეგ თქვენი შენიშვნა, მართალია, ლაპარაკში მეც ბევრჯელ მიხმარია, მაგრამ მაინც... (მურრეის ბეჭედს ხელში ათამაშებს).

რიჩჩიო. გრაფო, თქვენ ვგონებ იმისი თქმა გინდათ, რომ ყოველსავე ადამიანს თითო რაიმე სუსტი მხარე, მიდრეკილება აქვს?

ლეტინგტონ. (ხმას აუმაღლებს) დიახ!

რიჩჩიო. მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ეს სუსტი მიდრეკილება ჩვენს მიზანს ვამსახუროთ...

ლეტინგტონ. ...რომ მასთან სხვას ხელი არა ჰქონდეს, არა? ხომ აგრეა?..

რიჩჩიო. და რომ ამეხსნა თქვენთვის, თუ როგორ ვიმარჯვებ ამ მხრივ, სწორედ ამ მიზეზს დაგისახელებდით.

ლეტინგტონ. იქნება ერთი მხრივ მართალიც იყოთ.

რიჩჩიო. შოტლანდელს მუდამ რაიმე აწუხებს: ხან მამა-პაპეული სამკვიდროს მიღება, ხან რომელიმე ოცნება არ აძლევს მოსვენებას, ხან შურისძიების გრძნობა, ხან კიდევ თავმოყვარული განზრახვა: ამიტომაც იმედი ხშირად უცრუვდებათ.

ლეტინგტონ. მეტადრე-კი ამ ჩვენს დროში, როდესაც სარწმუნოების გამო მთელი მხარე ორ სამტრო-სამოსისხლო ბანაკად გაიყო.

რიჩჩიო. მე აქ მარტოდ-მარტო მოვედი; მე მხოლოდ ერთი აზრი მაქვს—ჩემს დედოფალს ერთგულად ვემსახურო.

ლეტინგტონ. მიზეზიც სწორედ აი, ეს არის, რომ დედოფალი ყველაზედ მეტად გენდობათ, ყველაში გარჩევთ; ეს ასეც უნდა იყოს.

რიჩჩიო. ასე უნდა იყოს, თუ არა, იმას ხომ მაინც ვერავინ იტყვის, რომ დედოფალი გონივრულად არ

---

*) იხ. „ივერია" № 75.

იდოს: 1) აპრილის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებში განაახლონ სწავლა ან და, ადგილობრივ სამოსწავლო მმართველობის ნება-რთვით, დაიჭირონ ეგზამენები; 2) თუ სწავლის დასრულებისა და ეგზამენების მოხდენისათვის ზაფხულამდე ცოტა დრო დარჩა, სწავლა და ეგზამენები გაგრძელდეს ზაფხულშიაც, სანამ საჭირო იქნება; დრო სამოსწავლო მთავრობამ უნდა დანიშნოს; 3) ვინც ეგზამენზე არ გამოცხადდება, ან ვინც ეგზამენებს ვერ დაიჭერს, მათ სამოსწავლო მმართველობა უნდა მოექცეს უმაღლეს სასწავლებლებისათვის არსებულ წესების თანახმად; 4) უმაღლეს სასწავლებლებში წრეულს ნება დართულ იქმნეს ამა თუ იმ პირისათვის შემოდგომაზე ეგზამენებისა და განმეორებით ეგზამენების დაჭერა განსაკუთრებულ პატივსადებ მიზეზთა გამო, თუ თვით მოითხოვენ და მათ თხოვნას სასწავლებლის სათანადო მთავრობა შეიწყნარებს.

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 15 აპრილს, ტფილისის გუბერნატორი, წყალთა გამგეობის ინსპექტორი, ქალაქის მოურავი და სხვანი ნატახტარში აპირობენ წასვლას ადგილობრივ წყაროების დასათვალიერებლად.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს გარდაუწყვეტია წელს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში მოხელეთა შტატებს მოუმატოს. სულ მომატებული იქნება 38 კაცის ადგილი.

⁂ ტფილისის სასულიერო სემინარიის საპედაგოგო საბჭომ საბოლოოდ გარდასწყვიტა სემინარია ტფილისიდგან მცხეთაში არ იქმნას გადატანილი, ხოლო რადგანაც ვერაზედ სემინარიის შენობისათვის შეძენილი ადგილი მოუხერხებელი გამოდგა და სხვაგან იმავე მხარეს მოხერხებული ადგილი ვერ იშოვნეს, ამიტომ სემინარიის მთავრობამ ამ დღეებში მიჰმართა ტფილისის ქალაქის გამგეობას და სთხოვა დაუთმონ ქალაქის მიწა, ზომით 4 დესეტინა სემინარიის მზრუნველის ბ-ნ რეიტერის ადგილის გვერდით პოლიციის მე-7 ნაწილში ნავთლუღში. სემინარიის მთავრობა ამასთანავე სთხოვს გამგეობას პასუხი რაც შეიძლება მალე შეატყობინოს. ქალაქის გამგეობამ ეს მოწერილობა გამგეობის წევრს თავ. ვ. ჩერქეზიშვილს მიანდო, რომელმაც აღნიშნული ადგილი უნდა დაათვალიეროს ქალაქის ინჟენერ-ტეხნიკოსების თანადასწრებითა და შემდეგ თავისი მოსაზრება ქალაქის გამგეობას წარუდგინოს.

⁂ კვირას, 8 აპრილს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი ტფილისის მაზრის უფროს თავ. ჯანდიერთან ერთად ტფილისის მაზრის დასათვალიერებლად გაემგზავრა. ბ-ნი გუბერნატორი ორშაბათს საღამოთი დაბრუნდა ისევ ტფილისში.

⁂ ტფილისის მოქალაქეს აბრამ დანციკს ორშაბათს, 9 აპრილს, ამიერ-კავკ. რკინის გზის ტფილისის სადგურზედ თავის მაღაზიიდგან დროებით 23 ფუთი სპილენძი გაუგზავნია, 184 მან. ღირებული, და 31 ფუთი რკინა—22 მანეთისა, და როცა მისი ნოქარი ბონცარევი სადგურზედ მისულა, საქონელი მიტანილი არ აღმოჩენილა. ეს განუცხადებიათ პოლიციის მოხელის თუმაევისათვის, რომელსაც კარგა ხნის გამოძიების შემდეგ დაკარგულ საქონელისათვის მიუგნია პოლიციის მე 9 ნაწილში, თუმანოვის ქუჩაზედ, ვიღაც სომხიევის სახლში. როგორც აღმოჩნდა, დანციკის ნოქარს ბონცარევს თვით დაუქირავებია ეს სახლი, გატანებული საქონელი იქ მიუტანია და დაუმალავს. ბონცარევი პოლიციამ დააპატიმრა. საქმის გამოსარკვევად გამოძიება იქმნა დანიშნული.

⁂ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ, ვისიც ჯერ არს, მათი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქალაქის ზოგიერთი ქუჩები დილის ცხრა და 10 საათზედ იგვება და ისიც მოურწყავად, რის გამოც ისეთი მტვერი დგება ქუჩებში, რომ გავლა ყოვლად მოუხერხებელია.

⁂ ამ დღეებში ქ. ტფილისის პოლიციის ბოქაულებს ბრძანება გაუგზავნა ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა იმის შესახებ, რომ დილის 9 საათამდე ტფილისის ვაჭრებს ქუჩა-ქუჩა ხილისა თუ სხვა რამ სანოვაგის გაყიდვის დროს საზარელი ყვირილი აეკრძალოთ, რადგანაც ამ ყვირილით მეტად აწუხებენ მცხოვრებთ, რომელთაც ხშირად ფანჯარა გაღებულს სახლში სძინავთ.

⁂ სამშაბათს, 10 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საქმე სიკო, თომა, დომენტი და ბართხუ დარასელიებისა, რომელთაც წინასწარმოფიქრებით დათა პაჟავას მოკვლა ედებოდათ ბრალად. ოლქის სასამართლოს ბრალდებულნი დამნაშავედ უცვნია და გარდაუწყვეტია ოთხივესათვის ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელს რაზმში გაგზავნა თომასთვის 2 წლის ვადით, ხოლო დანარჩენთათვის სამის წლის ვადით. სამოსამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი, დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 4 წლის ვადით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

⁂ 6 მაისიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მატარებლები შეცვლილის წეს-რიგით ივლიან. ჩქარი მატარებელნი, რომელნიც ეხლა კვირაში ერთხელ (ოთხშაბათობით) მიმოდიან ტფილისსა და ბაქოს შორის, ახალის წეს-რიგით ყოველდღე ივლიან ტფილისსა და ბათუმს შორის და კვირაში ერთხელ (ხუთშაბათობით) ტფილისსა და ბაქოს შორის.

⁂ მიწად-მოქმედების დეპარტამენტს განუზრახავს მიიღოს ზომები კავკასიაში მეთამბაქოობის გასაუმჯობესებლად. აზრადა აქვთ, სხვათა შორის, სოჩის თამბაქოს სანერგე სოხუმის სამეურნეო სადგურში გადაიტანონ. სოჩის თამბაქოს პლანტაციის გამგე გადაჰყავთ ოზურის პლანტაციის გამგედ, ხოლო სოხუმის თამბაქოს პლანტაციის გამგედ ახალს კაცსა ნიშნავენ.

⁂ 7 აპრილს შესრულდა ვადა, რომლის განმავლობაში შეიძლებოდა ქალაქის საბინაო გარდასახადთა გამწერ საკრებულოს გარდაწყვეტილების გასაჩივრება. საკრებულომ უკვე დაამთავრა საბინაო გარდასახადთა გაწერა და დაურიგა ბინის პატრონებს გარდასახადთა ფურცლები.

⁂ როგორც „კაზბეკი“ სწერს, აზრადა აქვთ კავკავის რკინის გზაზედ მეორე, პარალელური გზა გაიყვანონ როსტოვსა და ბაქოს შორის, რისთვისაც გადადებულია 29 მილიონი მან.

⁂ განჯის რკინის გზის სადგურთან უკვე დაუწყიათ რკინის გზის მოსამსახურეთათვის 18 ახალ სახლის აგება. აგებული იქმნება აგრეთვე მართლმადიდებელთა ეკკლესია.

⁂ სახლის პატრონს ს. ე. თულაშვილისას გამოუცხადებია ქალაქის სასწავლებელთა კომისიისათვის, მე-IX საპოლიციო ნაწილში სემენოვის მოსახვევში, განსაკუთრებულს შენობას ავაგებ ა. ს. პუშკინის სახელობაზედ განზრახულ ორის სკოლისათვის, თუ ამ სკოლებს დაიარსებს ქალაქი მომავალ წელსაო. თუ ამაზედ კომისია დათანხმდა, ქ-ნი თულაშვილისა თხოულობს ქალაქისაგან იჯარის ხელ-შეკრულობას.

⁂ მე-39 ქვეითა დივიზიის დეკანოზს მამა ალექსანდრე დრუჟინინს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის შეუწირავს თავისის ხელით გაკეთებული ხატი მაცხოვრის ხელთ-უქმნელის სახისა.

⁂ როგორც „ცნობის ფურც.“-ს სწერენ ბათუმიდგან, რილსკის მემკვიდრეთა ნავთის ახალ ქარხნისათვის მოუპარავთ 800,000 ვედრა წყალი ქალაქის რეზერვუარიდგან. [illegible] რილსკის მემკვიდრეებისას, რომელსაც ბაქოში ნავთის მოპარვა ჰბრალდებოდა და რომელმაც ამისთვის თავი ჩამოირჩო.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ხონიდგან სწერენ, 6 აპრილს, ხონში ხუთი სახლი დამწვარა. ამავე დღეს დამწვარა აგრეთვე სოფელ ეწერში აგურხანა გ. ქუთათელაძისა.

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბის“ მე-3 ნომერი; შინაარსი ამ ნომრისა: 1, „გველის მჭამელი“.—ძველი ამბავი.—VII—XII. ვაჟა-ფშაველასი (დასასრული); 2, „მარიამ მოტლანდელი“.—დრამა ხუთ მოქმედებად, ბიორნსტიენე ბიორნსონისა (თარგმანი); 3, ⁂.—ლექსი.—ლადო ახობაშვილისა; 4, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“—შ. არაგვისპირელისა; 5, „ორი ობოლი“.—ლექსი, ა. ცაგარლისა; 6, „ვინ იყო მობიდან ეპისკოპოზი“?—დ. კარიჭაშვილისა; 7, „გურია-აჭარა“.—XVIII—თ. სახოკიასი; 8, „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“.—ე. თაყაიშვილისა; 9, სამეგრელოს აღწერა.—XXIX—XXXII—არქანჯელო ლამბერტისა.—(თარგმანი იტალიურით); 10, უცხოეთის მიმოხილვა.

⁂ ქალაქის წყლის მილის სახელოსნოს ოსტატმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ დღესასწაულებში ღარიბთა სასარგებლოდ შეკრებილ ფულიდგან შემწეობა აღმოუჩინოს წყლის მილის სახელოსნოს მუშებსაც ქალაქის სხვა მუშებსავით.

⁂ როგორც ჩაქვის სადგურიდგან გვატყობინებენ, 9 აპრილს სპარსეთის ქვეშევრდომი ს. ხოსროევი მიმავალ მატარებელში ახტომის დროს გადმოვარდნილა და მარჯვენა ფეხი მოუტეხია. დაშავებული გაგზავნილ იქნა ბათუმში სამკურნალო შეწეობის აღმოსაჩენად.

⁂ როგორც ბაქოდგან გვატყობინებენ, 9 აპრილს საბუნჩაში მუშაობის დროს ვიღაც ბოროტ-გამზრახველს რევოლვერით უსროლია და მარცხენა ფეხში დაუჭრია დღიური მუშა ჯავათ-რიზა-ყული.

⁂ იქიდგანვე გვატყობინებენ, რომ 9 აპრილს, მემანქანის თანაშემწეს ნ. ზაბოლოცკის ფორსუნკის ცეცხლის წაკიდების დროს უცებ ავარდნილ ალით პირის სახე დასწვია.

იქცეოდეს.

ლეტინგტონ. დიახ, დიახ!

რიჩჩიო. საქმეც ამასვე ამტკიცებს.

ლეტინგტონ. დიახ, კათოლიკეთა საქმე ამ ჟამად ურიგოდ არ მიდის.

რიჩჩიო. ეგ რა მშვენიერი ბეჭედი გაქვთ, გრაფო!

ლეტინგტონ. ძვირფასიც არის, განა?

რიჩჩიო. (წამოდგება), ჩემს სიცოცხლეში ასეთს რამე ბევრს არ შევხვედრივარ! მაგრამ რას ვამბობ? ეს ბეჭედი თვით გვირგვინის უდიდეს ბრილიანტზედ უძვირფასესი იქმნება!

ლეტინგტონ. ძვირფასი თვლები მაღაზიის დახლთან დგომა ხომ არსად მოგხდომიათ?

რიჩჩიო. არა, მე მუდამ სხვებს ვგზავნი ხოლმე სასყიდლად.

ლეტინგტონ. მაინც მოხარული ვარ; ძლივს შევხვდი ისეთს კაცს, რომელსაც შეუძლიან ამ ქვას ფასი დასდვას.

რიჩჩიო. ძვირფასი ქვები ძალიან მიყვარს, მე თვითონ მთელი კოლექცია მაქვს ძვირფასი ქვებისა.

ლეტინგტონ. მაშ, თუ აგრეა, ამ ქვასაც უთუოდ იცნობთ; მცოდნე კაცის თვალი არ მოტყუვდება.

რიჩჩიო. (ახლოდამ აკვირდება ბეჭედს). გრაფის მურრეის ბეჭედი! თქვენ იყიდეთ?

ლეტინგტონ. არა, გრაფს ჰსურს ეს ბეჭედი სხვას აჩუქოს.

რიჩჩიო. ასეთი ძვირფასი რამ... მერე ვის?

ლეტინგტონ. ვის და თქვენ, დავით რიჩჩიო.

რიჩჩიო. მე!

ლეტინგტონ. (წამოდგება). ამაყი გრაფი მურრეი გთხოვთ დედოფალთან, დასთან, შუამდგომლობა გაუწიოთ. აი, ნამდვილი საბუთიც იმისი, რომ გარემოება შეიცვალა და თქვენ იმარჯვებთ! პროტესტანტთა დასი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად უძლეველად ითვლებოდა, იქამდის მივიდა ამ ჟამად, რომ მისი მოთავე და წინამძღოლი პაპის საიდუმლო აგენტს წყალობასა სთხოვს.

რიჩჩიო. მერე თქვენ ეს გაწუხებთ, გრაფო?

ლეტინგტონ. მაშინ მე ის პირში მთქმელი კაცი აღარ ვიქნებოდი, როგორადაცა მცნობენ, რომ დავმალო და არა ვსთქვა, რომ აწყენს და მაწუხებს ეს გარემოება.

რიჩჩიო. ვწუხვარ, რომ გრაფი მურრეი ასეთს უბედურს მდგომარეობაშია, მაგრამ ვერაფერს ვუშველი, მისს უკან დაბრუნებას ვერ მოვახერხებ!

ლეტინგტონ. მესმის, მესმის,—ჩემს სუსტს მხარეს კვანძი უპოვნეთ, მაგრამ ამ ჟამად იგი დედოფლის პოლიტიკის წინააღმდეგია. Au revoir! (წასვლას აპირებს).

ლეტინგტონ. (ბუხრის კარებს გამოაღებს და ბეჭედს ცეცხლში შეგდებას უპირებს).

რიჩჩიო. ღმერთი იწამეთ, რას სჩადიხართ?

ლეტინგტონ. ამ ბეჭედს ეხლა აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

რიჩჩიო. მერე ეს ხომ მთელის ქონების საფასია; იგი მთლად ჩემს სიმდიდრეს აღემატება!

ლეტინგტონ. მაშ, გსურთ დაიხსნათ იგი?

რიჩჩიო. რასაკვირველია!

ლეტინგტონ. მიიღეთ, მაშ, თუ აგრეა!

რიჩჩიო. არა! გრაფის დას, დედოფალს, გადაეცით; დეე, მან შეუნახოს გრაფს.

ლეტინგტონ. გრაფს შეუნახოს? (ბუხარში უნდა შეაგდოს ბეჭედი).

რიჩჩიო. გარწმუნებთ არ იცით რა ფასი სდევს, თორემ მაგას არ იზამდით!

ლეტინგტონ. განა თქვენ-კი არ შეგიძლიანთ შეუნახოთ?

რიჩჩიო. შევუნახო?.. მაგაზე თანახმა ვარ... მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ამ გარემოებამ ხელი არაფერში შემიშალოს და თავისუფლად მოქმედება შემეძლოს.

ლეტინგტონ. მაგრამ, დეე, ბეჭედმა მოგაგონოს ხოლმე, თუ დედოფლის ძმა ამ ჟამად რა მდგომარეობაშია (ბეჭედს გადასცემს).

რიჩჩიო. (გამოართმევს). და აგრეთვე მომაგონოს ისიც, თუ რამდენად საამაყოა საქმე, რომელიც მე დღეს წილად მხვდა.

ლეტინგტონ. რასაკვირველია, უფლება გაქვთ იამაყოთ. მაგრამ იმის იმედიცა მაქვს, რომ გრაფის მურრეის ასეთი თავის მოხრა უქმად და უნაყოფოდ არ ჩაივლის.

რიჩჩიო. აშკარა საქმეა, ამის შემდეგ არც გრაფი მურრეი და არც მისნი მომხრენი საშიშნი აღარ არიან, აი რა შემიძლიან ვსთქვა.

გამოსვლა VIII.

იგინივე. ლორდი სტიუარტი. შემდეგ დედოფალი.

სტიუარტი. Monsieur, ჩემი და თავისთან გიხმობთ.

ლეტინგტონ. უფალო მდივანო!

რიჩჩიო. მილორდ! (ლეტინგტონ გადის).

რიჩჩიო. მისი უდიდებულესობა სადა ბრძანდება?

სტიუარტი. მე წაგიძღვებით, monsieur!

რიჩჩიო. იმ რჩევის შესახებ, რომელიც-კი ეს არის მილორდმა მ ღირსა, შემიძლიან ბეჯითად ვსთქვა, რომ სულ მეტი იყო!

სტიუარტი. თუ-კი აგრეა, მოხარული ვარ.

რიჩჩიო. ამ ჟამად იარაღით-კი აღარა, თხოვნითა და საჩუქრებით მოისწრაფვიან ჩვენკენ. ის სასაცილო ცხვირისა და ტუჩის მაღლა აწევა, როგორითაც ზოგიერთი პირები შე- მეგებებიან ხოლმე სასახლეში, ასე საუცხოვო არასოდეს არა ყოფილა, როგორც ახლა. Au revoir!.. ა დედოფალიც!

სტიუარტი. მისი ჩვეულებრივი მოუთმენლობა ყოველგვარს წესსა და საზღვარს გადასულია!

დედოფალი. სტიუარტ, მარტო დაგვტოვე! არავინ არ დაგვიშალოს, თვალი ადევნე!

სტიუარტი. ცეკვა?..

დედოფალი. ჯერ საქმე, მერე ცეკვა! კარები გაიხურე!

სტიუარტი. (თავისთვის). არ ვიცი რა ვიფიქრო! (გადის).

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ როგორც განჯიდგან გვატყობინებენ, 8 აპრილს, მატარებელთა შემდგენელს სკრიტნიკოვს მანევრების დროს ლიანდაგსა და ვაგონის თვლებ შორის ჩარჩენია ფეხი და მოუმტვრევია.

⁂ როგორც ბაქოდგან გვატყობინებენ, 8 აპრილს, დეპოს მუშა სმოლიგინი რეზერვუარიდგან ორთქლ-მავალში წყლის გაშვების დროს გადმოვარდნილა ქვა-ფენილზედ და დაშავებულა.

ქალაქის საბჭო

9 აპრილი

გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა ქ-ნ მატილდა ფრანცის განცხადება, რომელიც სთხოვს ქალაქის გამგეობას ალექსანდრეს ბაღის შუაგულში ადგილის დათმობას ყავახანის გასამართად. ქ-ნ ფრანცის თხოვნა გაეგზავნა ბ-ნ გუბერნატორს, რომელიც წინააღმდეგი არ არის ამ თხოვნის დაკმაყოფილებისა. ქალაქის მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა დასძინა, რომ მართლაც ფრიად საჭიროა ალექსანდრეს ბაღში ისეთის პავილიონის გამართვა, სადაც ჩაი, ყავა, შოკოლადი და სხვა ცივი სასმელები იყიდებოდეს, აგრეთვე გაზეთები იყოს წასაკითხადო. ამ ჟამად ალექსანდრეს ბაღში „სუფთა ხალხი" არ დაიარება და ზემოხსენებულ პავილიონის გამართვა მიიზიდავს ყველასო. რაც შეეხება ქ-ნ ფრანცს, იმის შესახებ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ იგი მასწავლებელია და სანდო პირიო. გამგეობამ დაადგინა დაეთმოს იჯარით ალექსანდრეს ბაღის შუა გულ ნაწილში 30 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა პავილიონის ასაგებად 10 წლის ვადით, წელიწადში 100 მანეთად. ხმ. თაიროვმა სთქვა, რომ საჭიროა გამგეობამ გაზეთებში გამოაცხადოს ალექსანდრეს ბაღში ფარდულის გასამართ ადგილის იჯარით გაცემა და იქმნება სხვებმაც ისურვონ ამ საქმის მოწყობა და მეტი ფული შეგვაძლიონო. ამ აზრს დაეთანხმა ზოგიერთი ხმოსანი. მცირეოდენი კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: გაიმართოს ალექსანდრეს ბაღში პავილიონი, მოიწვიოს გაზეთების საშუალებით მსურველნი ამ საქმის იჯარით აღებისა, მიანდოს განსაკუთრებულს კომისიას საიჯარო პირობების შემუშავება, ხოლო ქ-ნ ფრანცისას უარი უთხრას. შემდეგ ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, დაამტკიცოთ სამეურნეო გამოფენის-საორგანიზაციო კომიტეტში არჩეულნი წევრნი ხმ. ნ. ნ. ოსტროგორსკი და კ. მ. ალიხანოვი და ავირჩიოთ ერთი წევრი გამოფენის გამგე კომიტეტშიო. საბჭომ დაამტკიცა ორივე წევრი და გამგე კომიტეტის წევრად დახურულ კენჭის ყრით აირჩია ხმ. ე. ს. ბაბოვი.

გამგეობის წევრმა ხოსროევმა წაიკითხა მართლმადიდებელ სასულიერო უწყების დეპუტატის მამა ცინცაძის შუამდგომლობა „ლოტკის-გორაზედ" საჭირო მიწის დათმობის შესახებ ეკკლესიისა და სამრევლო სკოლის ასაგებად. გამგეობას დაუდგენია დაეთმოს სასულიერო უწყებას 1200 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა „ლოტკის-გორაზედ" ეკკლესიისა და სკოლის ასაგებად. რადგანაც ზოგიერთმა ხმოსანმა განაცხადა, საჭიროა დაწვრილებით ცნობების შეკრება ამ ადგილის შესახებაო, ამისათვის ეს საგანი გადადებულ იქმნა სხვა დროისათვის. შემდეგ საბჭომ განიხილა და დაამტკიცა სხვა-და-სხვა წვრილი საქმეები.

კავკასიის მომავალი საიუბილეო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა *)

განყოფილება II. მევენახობა და მეღვინეობა.

მევენახობის ნაწილი.

ჯგუფი 1. სხვა-და-სხვა ჯიშის ყურძენი: სადესერტო, საჭმელი და ღვინის დასაყენებელი.

ჯგუფი 2. კოლექციები მევენახობისა. სხვა-და სხვა ჯიშის ვაზები.

ჯგუფი 3. ექსპონატენი იმისა, როგორ იგზავნება ყურძენი.

ჯგუფი 4. ექსპონატები ვაზის კულტურის ტეხნიკურ მხრისა.

ჯგუფი 5. გოგირდის მოსაყრელი მანქანები და პულვერიზატორები ყურძნის სხა და-სხვა სენისაგან სამკურნალოდ; ინჟექტორები, რომლებსაც ფილოქსერის ამოსაჟლეტად ხმარობენ, და სხვა.

მეღვინეობის ნაწილი.

ჯგუფი 6. ჭაშნიკები სხვა-და-სხვა ღვინისა, რომელსაც კავკასიაში ამზადებენ, ორ-ორი ბოთლი თვითველისა.

ჯგუფი 7. მეღვინეობის სხვა ნაწარმოებნი: ღვინის არაყი, ძმარი, გამშრალი ჭაჭა და სხვა.

ჯგუფი 8. ის მანქანები და იარაღი, რომელსაც ღვინის დაწურვის, დუღილის, დაყენების, გადაღების, გაწმენდის, შენახვის და სხვა დროს ხმარობენ. სხვა მანქანები და ნივთები, რომელსაც ღვინის დაყენებაში იყენებენ; მოდელები სარდაფებისა და სხვა ღვინის შესანახ ადგილებისა.

ჯგუფი 9. პრიბორები და მოწყობილებანი, რომლებსაც ღვინის გამოსაკვლევად ხმარობენ.

შენიშვნა. მე-5, 8 და 9 ჯგუფების ექსპონენტებად შეუძლიანთ იყვნენ რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმები.

განყოფილება III. თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.

თესლეულობა

ჯგუფი 1. თესლები სხვა-და-სხვა საბაღე და საბოსტნე მცენარეებისა. უნდა გამოიგზავნოს ყველა მცენარის თესლის ნიმუში ცალკე. ნიმუშები იმ მცენარეებისა და ნაყოფისა, რომელთაგანაც თესლია მიღებული.

ჯგუფი 2. თესლები, ფესვები, თავები და სხვ. იმ საბაღე და საბოსტნე მცენარეებისა, რომლებიც კავკასიაში მოჰყავთ. თესლები ამა თუ იმ რაიონისა, ამა თუ იმ ადგილისა ბაღისა და ბოსტნისა.

ჯგუფი 3. თესლის მოსაკრებად და მოსაგროვებლად საჭირო მოწყობილებანი; გადასარჩევი მანქანები; პრიბორები, რომლებსაც თესლის გამოსაცდელად ხმარობენ.

შენიშვნა. თესლები კარგად გამხმარი და გასუფთავებული უნდა იყოს. აგრეთვე, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა გამოიგზავნოს თესლის ბუდეებიც.

სანერგეები და ნერგები

ჯგუფი 4. ნიმუშები ხეხილისა და ბუჩქებისა; ნერგები გარეულ ხეებისა. კოლექციები სამყნობ ხეებისა.

ჯგუფი 5. ნერგები დეკორატიულ მცენარეებისა. ნერგები სხვა და სხვა ადგილებისა და ბაღების ხე ხილიან მცენარეებისა.

ჯგუფი 6. პლანები, ანგარიშები, აწერილობანი, ფოტოგრაფიული სურათები და სხვ.

განყოფილება IV. დეკორატიული ბაღოსნობა

ჯგუფი 1. საორანჟერეო მცენარენი. ქოთნებში ჩარგული მცენარენი. ოთახის მცენარეულობა.

ჯგუფი 2. ყვავილიანი მცენარენი. ზიზილ-პეპელა მცენარენი. ლამაზ ნაყოფიანი მცენარენი.

ჯგუფი 3. გაზონების გამართვა.

ჯგუფი 4. გარეული დეკორატიული მცენარეები და ყვავილები, რომლებიც კავკასიაში ხარობენ.

ჯგუფი 5. ხელოვნურად გაკეთებული ყვავილები.

ჯგუფი 6. გამხმარ ყვავილებისა და მცენარეებისაგან გაკეთებული ნაწარმოებნი (მიიღება იმპერიის ყველა ადგილიდგან).

ჯგუფი 7. პლანები, აწერილობანი, ფოტოგრაფიული სურათები და სხვანი, რაც დეკორატიულ ბაღოსნობას შეეხება.

(შემდეგი იქნება)

სასურველი ანდერძი

(წერილი კავკავიდგან).

ამ დღეებში კავკავში გარდაიცვალა ქართველი ოსი ივანე ურთაშვილი, რომელსაც მემკვიდრე არავინ დარჩენია, გარდა ერთის დისა და ცოლად აყვანილის ერთის რუსის დედაკაცისა. განსვენებულს ურთაშვილს დარჩა სოფელს კავკასკაძი, უუბანის ოლქში, უძრავი ქონება, რომლის წლიური შემოსავალიც ამ ჟამად 2500 მ. უდრის. მთელი თავისი ქონება განსვენებულს ივანე ურთაშვილს ანდერძით გადაუცია აქაურის გაზრის ივანე სიმონის ძის მესხიშვილისათვის შემდეგის პირობით: საზოგადო შემოსავლიდგან აძლიოს თვიურად განსვენებულის დას თითო თუმანი და ცოლად აყვანილს რუსის დედა-კაცს თხუთმეტი მანეთი. ამას გარდა სხვა შემოსავალი განსვენებულს ურთაშვილს გაუყვია სამ ნაწილად: ერთი მესამედი შემოსავლისა უანდერძებია ოსების სამრევლო სკოლისათვის, მეორე მესამედი—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კავკავის სკოლისათვის და დანარჩენიც სხვა და-სხვა საქველ-მოქმედო საქმეებისათვის შეუწირავს. ამნაირად განსვენებულის ურთაშვილის ანდერძით, რომელიც ბ-ნს ივანე სიმონის ძეს მესხიშვილს ეკუთვნის, ნაანდერძევის ქონების კარგად პატრონობით და მოვლით, რომელიც დამოკიდებულია ბ-ნის მესხიშვილისაგან, კავკავის ოსებისა და ქართველების სკოლებს მიემატება წლიურად, როგორც ამბობენ, ექვსას-ექვსასი მანეთი, რაც, რასაკვირველია, დიდად სანუგეშოა როგორც ქართველებისა, ისე ოსებისათვისა და სასახელო განსვენებულის ურთაშვილისათვის. ანდერძი განსვენებულის ურთაშვილისა მით უფრო მოსაწონია, რომ მას არ დავიწყებია სიკვდილის დროს ქართველი დედის ძუძუ და ამაგი და ამისთვინაც განსვენებული უფრო ქართველობდა და ეს ზნეობრივი ვალი ყოველის ადამიანისა სიკვდილის დროს სასურველად მოიხადა. განა ცოტა არის ამისთანა ადამიანი, რომელსაც ქონება ხელს უწყობს საკეთილდღეო საზოგადო საქმისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ არ უზრუნვიათ და არა ჰზრუნავენ? მათი ქონება სიკვდილის შემდეგ ყვავ-ყორანს რჩება და საზოგადო საქმეს-კი არა ემატება-რა.

ამასთან, ურთაშვილის ანდერძი გვითითებს საგულისხმიერო საგნისაკენ: ოსები და ქართველები, როგორც ორი მეზობელი ერი, ისტორიულად შეკავშირებული, ჭირში და ლხინში საზოგადო საქმეში ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ. ამ აზრს მისდევდა და ახორციელებდა თავისს ცხოვრებაში კარგად ცნობილი ქართველი მოღვაწე მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელიც კავკავში ოცის წლის მოღვაწეობის განმავლობაში არა-ნაკლებად იღვწოდა ოსების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ვიდრე ქართველებისათვის. განსვენებულის ყიფიანის მიერ დაარსებული კავკავის ქართული სკოლის კარები ყოველთვის გაღებული იყო და არის ქართველ ოსებისათვისაც, რომლის შვილები, კავკავის ქართული სკოლიდგან გამოსულები, ეხლა სწავლას აგრძელებენ სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებლებში. ამიტომაც ანდერძი განსვენებულის ურთაშვილისა დაუვიწყარია.

კახაბერი

აბრეშუმის ჭიის თესლის მომზადების შესახებ

წერილი მეორე ნუგეშინიასთან

აბრეშუმის პეპელისაგან დაყრილს კვერცხებს ჩვენში შემოკლებით „აბრეშუმის თესლს" ეძახიან, ანუ „აბრეშუმის ჭიის თესლსა". ფრანგულადაც სამ სიტყვას ხმარობენ ამ ცნების გამოსახატავად „graine de ver á soie". ამ ბოლოს დროს ჩვენში ეს ფრანგული სიტყვა შემოიღეს და თესლის მაგივრად „გრენა"-სა სწერენ. საიდგან სადაო, არ იცის კაცმა. ჩვენებურად „თესლი" და ფრანგულად „გრენა" საზოგადო ცნებას ჰხატავს და ერთ გვარად იხმარება დასასახელებლად როგორც ჭიის თესლისა, ისე პრასისა, გინდა ლომისა და სხ.

ჭია რომ პარკში თავს დაიმალავს, შიგ განუწყვეტლივ მუშაობს, აბრეშუმის ძაფს პარკად ახვევს, ანუ იცლება იმ სააბრეშუმო სითხისაგან, რომელიც ტანში დამზადებული აქვს. ამ მახვიარ ჭიას ფრანგის მეაბრეშუმეები „დემუაზელს" ეძახიან, ანუ, ჩვენებურად რომა ვთქვათ, გაუთხოვარს ქალებს. აი სწორედ ამ მახვიარ ჭიებს ანუ დემუაზელ-ქალიშვილებს ჰყიდიან ჩვენში ზოგიერთი უსუსური მეაბრეშუმეები, რომ, რა არის, პარკი მძიმე გამოვიდესო!

როცა ჭია ხვევას მორჩება, მოკლდება, ტანადობას იცვლის და „ემზადება" პეპლად გადიქცეს. ამ დროს ჭია გარედგან შეხედულობით მძინარესა ჰგავს. აი ამ „მძინარე" ჭიას ფრანგულად „chrysalide" ჰქვიან, რუსულად კუკოლკა, ქართულად-კი „ბოჟი". ეს სიტყვა დიდად ცნობილი ანუ გავრცელებული სიტყვა არ უნდა იყოს ჩვენში. იმერეთში-კი იტყვიან „ბოჟინობსო", ვინც უსიცოცხლოდ ჰმოქმედებს.

„საჭიე" ფრანგულად magnagne'rie ჭიის ქარხანასა ჰქვიან. საფრანგეთისა და, უფრო-კი იტალიის, დიდი მემამულეები, ბეოლნარების პატრონები ასი დესეტინობით საჭიეებს აშენებენ და ასობით კოლოფს თესლს იჯენენ. ჩვენში ეს არ არის და არც საჭიეს ვაშენებთ. ჩვენებური მეაბრეშუმე „ერთს სახლს" აბრეშუმს დაიჯენს. ჩვენში იტყვიან „ორი სახლი აბრეშუმიო", ისე როგორც ორი ჰური ღვინო, ერთი ჰიქა ჩაი, სამი კოდი პური. ამის მაგივრად ფრანგები ამბობენ chambre'e, რუსები выкормка. რაც ერთხელვე ხალხს სახელი მიუღია რაიმე ცნების გამოსათქმელად, დღეს ჩვენს ენაზედ ძნელი გამოსაცვლელია, კიდეც რომ შეუფერებლად გვეჩვენებოდეს. ამ მცირე შესავლის შემდეგ ყური დავუგდოთ პასტერის მუშაობას.

„დავისადგურე თუ არა,—სწერს პასტერი,—ივნისის დამდეგს 1865 წ. მახლობლად ქალაქ ადესისა, ერთის მცირე მეაბრეშუმისას, ჩემი პირველი საზრუნავი ის იყო, რომ შემესწავლა კორპუსკულების ცნობა და მათი გარჩევა ავადმყოფ ჭიებშიო. მალე, თანახმად ჩემის მოწინავეებისა, მეც ვნახე, რომ ავადმყოფს ჭიებს, რომელთაც ცახზედ ასვლა ვეღარ ეღონებიათ, ბლომად ჰქონდათ მთელს აგებულებაში მიკროსკოპიული ცხოველები, კორპუსკულები. ვნახე ეს ცხოველუკები პარკში „მძინარე" ჭიებში (ანუ ბოჟებში) და პეპლებშიაც. ნამეტურ ბლომადა ჰქონდათ კორპუსკულები შავად დაწინწკლულს ჭიებსა. ამ შავი ლაქების მიხედვით, რომლებითაც ხშირად დაფარულია გარედგან დასენილი ჭია, ავადმყოფობასაც ეწოდა სახელად მსწავლულის კატრეფაჟისაგან პებრინა, ანუ ლაქების ავადმყოფობა".

„პირველადვე, კორპუსკულების გაცნობის დროს,—განაგრძობს პასტერი,—ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. იმ მეაბრეშუმეს, რომლისასაც დავიწყე პირველი გამოკვლევა, ორს სახლში უჯდა ჭია. ერთის სახლის ჭიას შედარებით კარგად ეხეირნა და 25 გრამ თესლიდგან (6 მისხ.) 35 კილო პარკი აეხვია (ორ ფუთზედ მეტი). ამას სათესლედ ინახავდნენ. მეორე სახლის ჭია-კი ძლიერ დაზარალებულიყო და ცოტაღა დარჩენილიყო ცოცხალი. და რაც იყო, საცახედ იყო მომზადებული. მიკროსკოპიულის გასინჯვით, გამარჯვებული სახლის ბოჟები ყველა კორპუსკულიანი აღმოჩნდნენ, ხოლო დაზარალებულს სახლის ჭიებს, ასეთისავე გასინჯვით, კორპუსკულები არ აღმოაჩნდათ, ან ძლიერ ძვირად და ისიც ზოგიერთს". რამდენი გავამრავლე გამოკვლევა, იმდენი თან-და-თან დავრწმუნდი, რომ ეს ფაქტი ნამდვილი იყოო,—ამბობს პასტერი.

ამ გარემოებამ პასტერი ერთობ გააკვირვა: ნახეირები სახლის ბოჟები სენიანები იყვნენ, დაზარალებული სახლის ჭიეპი-კი საღები, უკორპუსკულონი. მან დაუცადა, სანამ ესენი პარკს აახვევდნენ და, დღიდგან პარკში თავის დამალვისა, დაუწყო მიკროსკოპით სინჯვა ჯერ კიდევ მახვიარ ჭიებს, მერმე ბოჟებს და ბოლოს პეპლებს. აღმოჩნდა, რომ რამდენიც ხანში შევიდნენ ბოჟები, იმდენად თან-და-თან აივსნენ კორპუსკულებით. პეპელი-კი ერთიც არ დარჩენილა უკორპუსკულო.

ეს გარემოება, როგორც ზღაპრული ძაფის კვიტიტი, შეიქმნა პასტერის ხელმძღვანელი შემდეგს კვლევა-ძიებაში. იმ თავიდგანვე ამ გარემოებიდგან შემდეგი დასკვნები გამოიყვანა და იმავე წლის სექტემბერში სამეცნიერო აკადემიას მოახსენა:

ა) „შემცდარან ისინი, ვისაც კორპუსკულები მარტო კვერცხებში და ჭიებში უძებნიათ; შესაძლო იყო, როგორც კვერცხს, ისე ჭიასაც ჰქონებოდა ავადმყოფობა, მაგრამ ჯერ

---

*) იხ. „ივერია" № 77.

განუვითარებელი, როგორც ჩანასახი, და მიკროსკოპითაც შეუნიშნავთ;

ბ) „ეს ჩანასახი ავადმყოფობისა დამთავრდებოდა უსათუოდ ბოჟებში და პეპლებში, სადაც უნ-და ეძებნათ ის უმთავრესად და

გ „უპირველესი საშუალებაა მივმართოთ უკორპუსკულო პეპლებს, თუ გვინდა, რომ საღი თესლი მოვიპოვოთ".

(დასასრული იქმნება)

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. სხვაფრივ რომ დევეტს ვეღარა დააკლეს-რა ინგლისელებმა, ჭკუიდგან შეშლილობა მოუგონეს და მისს გამარჯვებასა და თავისს დამარცხებას ამ შეშლილობას ამიზეზებენ. კარგი ხერხია, თუ თქვენცა ბრძანებთ, მკითხველნო, არა?

ამ რამდენისამე დღის წინად ინგლისურს გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ დევეტი მალე ჭკუიდგან შეიშლებაო. ამის გამო „Times"-ი სწერს: „დევეტის შეშლილობის შესახებ ისეთი ხმები დადის, რომ მართლაც შეუძლებელია, ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს. მაგრამ ამავე დროს, თუ რომ დევეტის მიერ ბრძოლის მოედანზედ გამოჩენილს სამხედრო გამჭრიახობას წარმოვიდგენთ, ეჭვი არ არის, გავრცელებული ხმა მხოლოდ მოჭორებულად უნდა ჩაითვალოს: განკარგულებანი და მოქმედება ბურების გამოჩენილის გენერლისა ნათლად ამტკიცებენ, რომ გონებაც მრთელი აქვს და ხიჭვიც დიდიო".

„Daily Mail" დევეტის შესახებ გავრცელებულს შეშლილობას სრულიად უსაფუძვლოდა სთვლის. გაზეთი შენიშნავს: „თუ რომ მართლა დევეტი შეშლილია, მხოლოდ და დაგვრჩენია აღვიაროთ, რომ ამ შეშლილობაში დიდს თან-და-თანობასა და მოსაზრებას იჩენსო".

„Daily News"-ს ამ ხმებისა გამო შემდეგი, მართლაც და ზედ გამოჭრილი ანეკდოტი მოჰყავს:

„ყველას მოეხსენება, რომ როდესაც ნაპოლეონის მიერ დამარცხებული ავსტრიის გენერლები იმპერატორმა საშინლად გაჰკიცხა და საყვედურით დაასხრია, ზოგიერთებმა საბოდიშოდ ის მოიმიზეზეს, რომ ნაპოლეონი გიჟია, ცოფიანიაო. „ჰო, აი თურმე მიზეზი რა ყოფილა! მაშ გიჟია? მართალია?—თუ აგრეა, მე დიდად მოხარული ვიქნებოდი, რომ თუნდაც ერთი ვინმე თქვენგანი დაეკბინაო!—შესძახა თურმე იმპერატორმა".

ჩინეთი. „New-Iork Herald"-ს ატყობინებენ პეკინიდგან, რომ სახელმწიფონი საზღაურად ჩინეთისაგან ზედმიწევნით შემდეგს თანხას მოითხოვენო: რუსეთი 450 მილიონ ფრანკს, გერმანია 350 მილ., საფრანგეთი 200 მილ., იაპონია 150 მილ., შეერთებული შტატები 125 მილიონს, ინგლისი 120 მილიონს, ბელგია 120 და იტალია, ავსტრია და ისპანიაც 150 მილიონსაო. ამერიკელები სახელმწიფოთა შორის საზღაურის განაწილებას იმის და მიხედვით ურჩევენ, ვის რამდენი ჯარი ჰყოლია ჩინეთში. ამისა გამო ყველაზედ მეტს რუსეთი თხოულობს, რადგანაც სულ 123,000 კაცის გადაყვანა დასჭირდაო.

„Central News"-ს ცნობებით, როკგელდს მოუხსენებია შეერთებულ შტატების მთავრობისათვის, რომ ბრიტანიისა და იაპონიის რწმუნებულნი მხარს უჭერენ ჩინეთს სამხედრო საზღაური 200 მილიონ დოლლარამდე როგორმე შეუმცირონ, მაგრამ დანარჩენნი სახელმწიფონი თურმე წინააღმდეგნი არიან. ინგლისი თურმე მხოლოდ 21,820,000 დოლლარს თხოულობს, თუ რომ ზოგიერთს სავაჭრო კონცესიას მიიღებს. ინგლისი, პირიქით, მზად თურმეა ეს თანხა თუნდაც კიდევ გაანახევროს, თუ რომ სახელმწიფონი ჩინეთს საზღაურად 100 მილიონ დოლლარზედ მეტს არ მოსთხოვენ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ამა მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს შესანიშნავ მეცნიერსა და მკურნალს რუდოლფ ვირხოვს 80 წელიწადი უსრულდება. იმისმა მეგობრებმა და თაყვანის-მცემლებმა კომიტეტი აარჩიეს ვირხოვის სახელობის ფონდის შესადგენად. კომიტეტმა უკვე გამოსცა მოწოდება შემოწირულების მოსაკრებად. ფონდს სამეცნიერო გამოკვლევებსა და ექსპედიციებს მოანდომებენ. კომიტეტის თავმჯდომარედ ბერლინელი პროფესორი და ცნობილი ანატომი ვალდეიერია.

* * *

ერთ გერმანულ ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი მიმოსვლის საშუალებათა შესახებ ამ საუკუნის მეორე ნახევარში. ავტორი ამტკიცებს, რომ მალე ცხენი სულ აღარ იქმნება ხმარებაშიო. ცხენი თავის ადგილს მოტორს დაუთმობს. რკინის გზებიც ბევრად იქმნება გაუმჯობესებული. შემოღებული იქმნება განუწყვეტელი მიმოსვლა მატარებლებისა, ე. ი. ლიანდაგი არასოდეს არ მოსცდება, მატარებლები ყოველ წუთს ივლიან და მგზავრი, როცა უნდა, მაშინ გაუდგება გზას. რაც შეეხება ჰაერში სიარულს, ავტორს იმედი არა აქვს ამის განხორციელებისა.

* * *

როგორც რომიდგან იუწყებიან, კაიჩელლოს მახლობლად ღრმად მიწაში აღმოუჩენიათ ძველის ქალაქის საძირკველი და რამდენიმე მშვენიერი უზარმაზარი შენობა. ბევრი შენობა ხუროთ-მოძღვრობის შედევრს წარმოადგენს თურმე. იმედი აქვთ, სხვა შესანიშნავი ნაშთებიც იპოვნონ ამ ადგილას.

* * *

ამას წინად ერთ გერმანელ აფიცერს თავის ჯარის-კაცებისთვის უკითხნია, ვინ იყო ბისმარკიო. 78 ჯარის კაცისაგან 21-ს ვერაფერი ვერ უთქვამს. 22 კაცს გამოუცხადებია, რომ ბისმარკი გენერალი იყოო, 9—სარდალიო, მაგრამ ვისი, არ იცოდნენ; ექვსს უთქვამს, რომ ბისმარკი სამხედრო მინისტრი იყოო. ყველაზედ კარგი პასუხი ხუთ ჯარის-კაცს მიუცია - ბისმარკი პირველი კანცლერი იყო, იმან დააარსა იმპერიაო. ბევრს უცნაური პასუხიც მიუცია. ერთს უთქვამს, რომ ბისმარკი გერმანიის პირველი იმპერატორი იყოო, მეორეს—შესანიშნავი პოეტიო; მესამე კიდევ ამტკიცებდა, რომ ბისმარკმა დაბადება გადმოთარგმნაო.

* * *

რადგანაც ამ ბოლოს დროს ბუდაპეშტში ძალიან გავრცელდა ბოროტ-მოქმედებანი, შთაგონების, ჰიპნოტიზმის წყალობით ჩადენილი, ადგილობრივმა მთავრობამ მკურნალობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ, გადასწყვიტა აეკრძალოს კერძო კაცთ ჰიპნოტიზმით დაძინება ვისიმე. მხოლოდ მკურნალებს შეუძლიანთ შთაგონებას მიჰმართონ ხოლმე ავადმყოფთა განსაკურნავად. ამ დადგენილების გამო ერთი ფრანგული გაზეთი სწერს, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება ამ გადაწყვეტილებას, რადგანაც ძნელია ამ შემთხვევაში რომელმამე დაწესებულებამ თვალყური ადევნოს ყველას, მით უმეტეს, რომ ბევრს შორს მანძილზედაც შეუძლიან დააძინოს და შთააგონოს რაც უნდა. ამას წინად, მაგალითად, ერთ ჰიპნოტიზიორს ტელეფონით 120 ვერსის მანძილზე დაუძინებია ორი კაცი. ვერაფრის გულისთვის ადგილობრივ მკურნალებს ვერ გამოუღვიძებიათ ეს კაცები. ორ საათ ნახევრის შემდეგ ეს კაცები გააღვიძა თვით პროფესორმავე, რომელიც რკინის გზით წასულა იქ.

* * *

ქრისტიანიაში დაარსებულა ახალი საზოგადოება. ამ საზოგადოების წევრი ვალდებულია ზამთარსა და ზაფხულს ყოველ დღე დილით ადრე ცივ წყალში იბანოს. არავითარს ამინდს არ უნდა შეუშინდეს იგი. ამ ზამთარს ისინი გაყინულ მდინარეში ბანაობდნენ თურმე. სკანდინაველნი ამტკიცებენ, რომ ასეთი ბანაობა სამაგალითოდ ამაგრებს სხეულსაო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აპრილი

პეტერბურგი. 9 აპრილს პეტერბურგში საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასსე მოვიდა.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩი ზინოვიევი და სოფიაში მყოფი რუსეთის აგენტი ბახმეტევი სულთანმა სადარბაზოდ მიიღო.

პარიჟი. რადგანაც დელკასსეს პეტერბურგში წასვლამ სხვა-და-სხვა ლაპარაკი გამოიწვია გაზეთებში, დაბეჭდილ იქმნა ოფიციოზური ნოტა, რომელიც არსებითად შემდეგს აცხადებს: „დელკასსეს წასვლა ზედდატანებით მას შემდეგ, რაც გენერალი გერდეზეკი იყო, მხოლოდ ბუნებითი შედეგია და გამომხატველი იმ კავშირისა, რომელიც დროისდა მიხედვით განმტკიცებულია. დელკასსესა და გრაფს ლამზდორფს შორის პირადი მოლაპარაკება შეაძლებინებს ორსავე სახელმწიფოს მუდამ თანხმობით ჰმოქმედებდნენ იქ, სადაც საქმის გარდაწყვეტა ერთად არის საჭირო, რადგანაც პირადად ერთმანერთთან შეთანხმება სულ რამდენისამე საათის განმავლობაში შეიძლება, რასაც მრავალი წერილები ვერ შესძლებენ; ეს გარემოება უზრუნველ ჰყოფს მშვიდობიანობას, რომელიც ფრანგ რუსთა კავშირსა აქვს აზრადა, ისე კი, რომ ორისავე მეგობარ და მოკავშირე ერის ინტერესები დაცულ იქმნენ.

კაპშტადტი. დღემდის 456 გამხდარა შავის ჭირით ავად; ამათგან 185 მომკვდარა.

შანხაი. ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მოტანილ ამბიდგან იუწყებიან, რომ ფენციტ საის 6,000 ქვეითა ჯარის-კაცითა, 2,000 ცხენოსნით, რომლებიც მშვენივრად თურმე არიან შეიარაღებულნი და გაწრთვნილნი, ამ ცოტა ხანში ჩენუჟუზედ გაუვლია სიანფუსაკენ.

პეკინი. პენჯარის რაზმის როტა, რომელსაც სიანფუსთანა ჰქონდა ბრძოლა, შანხაიგუანიდგან იქმნა გაგზავნილი ყაჩაღათა ბრბოს განსადევნელად. როტას მოუკლეს ორი კაცი და დაუჭრეს რამდენიმე. როგორც ეტყობა, მტერი ახალი თოფებით უნდა იყოს კარგად შეიარაღებული.

პრეტორია. ფრენჩის უმთავრესი ბანაკი ტრანსვაალის აღმოსავლეთ მხრიდგან იოჰანესბურგში დაბრუნდა. როგორც იუწყებიან, ბურთა შორის აღმოსავლეთისაკენ ისეთი უიმედობაა თურმე, როგორც სხვაგან, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელნი პირადის მოქმედების ნებას თურმე არ აძლევენ; მცირე უქონლობისა გამო, ფრენჩისათვის პატარა ხნით მშვიდობიანი ცხოვრებაა საჭირო.

სიდნეი. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ფლაირივერში, ახალს გვინეაში, ორი ინგლისელი მისიონერი მოჰკლეს.

ბერლინი. გერმანიის ბანკმა დისკონტი $4^1/_2$-დგან $4,4^0/_0$-ზედ დასწია.

ნიუ-იორკი. მარგონი იუწყება, რომ საქმე უკვე გაუთავებიათ, რომ ინგლისის ახალ სესხის ნახევარზედ ხელი იქმნეს მოწერილი ამერიკაში.

ლონდონი. „Times"-ის სიტყვით, ინგლისის ახალს სესხს 30 მილიონს ლონდონის ხელმძღვანელი საფინანსო ფირმები თურმე იღებენ.

ხორრარიდგან იუწყებიან, რომ მულლას აბდულ ლახას აბესსინელთა წინაშე დოლბახანტისაკენ დაუხევნია. აბესსინელთ ლაშქართ დაჰრჩენიათ ათასი აქლემი, პონის ჯიშის ცხენი და ცხვარი. ბუაროდგან ინგლისელები დოლბახანტისაკენ მიდიან აღმოსავლეთით.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტო" იუწყება, რომ ტყუილია ის ამბავი, ვითომ მთავრის ფერდინანდისათვის ისე დაჟინებით ეთხოვოთ სოფიაში დაბრუნებულიყოო.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან: „ბოლონდელ მოხსენების შემდეგ ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წაიყვანა 242 კაცი და დავლათ დაინარჩუნა 248 თოფი, რამდენიმე ფურგუნი სამხედრო სამზადისი და რამდენიმე ურემიო. ბევრი თავისის ნებით დაგვმორჩილდაო".

10 აპრილი.

პეტერბურგი. პეტერბურგში ნაოსნობა დაიწყო.

9 აპრილს საფრანგეთის საელჩოს შენობაში 22 კაცისათვის სადილი იქმნა გამართული, რომელსაც საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასსე დაესწრო.

კოსტრომა. ყინული თითქმის სრულიად შედგა. იაროსლავსა და რიბინსკში ვოლგა სრულიად გაიწმინდა.

ვაშინგტონი. ჩინეთის აქაური ელჩი ვუტინფანი სამახარო ბარათს ამზადებს ჩინეთის მთავრობის წინაშე წარსადგენად, რომელშიაც აცხადებს, რომ დროა ჩინეთმა კონსერვატიულ ცვლილებათა გეგმა მიიღოს. ელჩი ურჩევს ჩინეთისავე სარგებლობის გულისათვის არა მხოლოდ არ გაუწიონ წინააღმდეგობა იმ ცვლილებათ, რომლებსაც სახელმწიფონი ურჩევენ ასე დაჟინებით, არამედ უფრო მეტი ცვლილება შეიტანონ. რაც შეეხება გარეშე საქმეთა სამინისტროს დაარსებას პეკინში, ამის შესახებ ელჩი ურჩევს, რომ იმპერიის საქმეებს წარმართავდეს ერთი კაცი და მათი პასუხის მგებელიც იგივე იყოს; ამასთანავე ელჩი საჭიროდ არა სთვლის, რომ ესეთი კაცი უთუოდ სამეფო გვარეულობიდგან, პრინცებიდგან იყოს ამორჩეული.

ბერლინი. როგორც გაზეთები იუწყებიან, გერმანიის ორს შეუიარაღებელს ჯარის-კაცს პოტინფე მახლობლად ერთს სოფელში ზანგ ლები თავს დასხმიან და მოუკლავთ. მოლოდინი აქვთ, რომ მთელი სოფელი იქმნება დასჯილი. როგორც ხმა დადის, ამ ჯარის კაცებს ცხენების საკვების სყიდვა თურმე ჰქონიათ დავალებული.

როგორც კერძო ცნობები იუწყებიან სოფიიდგან, მაკედონელთა კონგრესის თავმჯდომარეს მიხაილოვსკის განუცხადებია, რომ კონგრესმა სურვილი გამოსთქვა ევროპის ყველა სატახტო ქალაქში დეპუტაცია გაგზავნოს და საქმეთა დღევანდელი მდგომარეობა აცნობოსო. „კომიტეტს განზრახვა არა აქვს დაიპყრას რამეო,—უთქვამს თავმჯდომარეს,—იგი მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ ადამიანური ცვლილებანი იქმნენ შემოტანილნიო".

ნიუკასტლი. ნორტუმბერლანდის ქვანახშირის მადაროების კავშირის დელეგატთა კრებაზედ, რომელიც აქ მოხდა, მიღებულ იქმნა გარდაწყვეტილება, რომ სხვა მოკავშირეებთან ერთად იმოქმედონ და ეცადნენ ინგლისში ნახშირის საქმე შეაყენონ, თუ რომ ნახშირის გამოსატანი საბაჟო გადასახადი გაუქმებული არ იქმნება.

ლონდონი. საბაჟო უწყების მდივანმა ნიუკესტლის ბირჟის წევრებს დეპეშით აცნობა, რომ ხაზინის კანცლერს განზრახვა აქვს აწონ-დაწონოს ეს საქმე და ისე გარდასწყვიტოს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კრანბორნმა უპასუხა მიცემულს კითხვაზედ, რომ სამხედრო საზღაურის მოთხოვნილება ინგლისისა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ ამ მოთხოვნილებაში შევა უთუოდ კერძო კაცთა საზღაურიცაო. რომელი სახელმწიფო რამდენს ითხოვს ჯერ არ შეიძლება ამისი ჩვენება, რადგანაც ამერიკის მეტს, რომელმაც 20,000 დოლლარი მოითხოვა, სხვა სახელმწიფოებს თავისი მოთხოვნილებანი არ წარმოუდგენიათ. ინგლისის მთავრობას არავითარი ცნობა არ მიუღია იმის შესახებ, ვითომ რუსეთს განზრახვა ჰქონდეს თვისი მოთხოვნილება ნახევრად შეამციროს, თუ რომ ჩინეთი მანჯურიის შესახებ რუსეთთან შეთანხმდება. რაც შეეხება იმას, ვითომ რუსეთსა და იაპონიას მოლაპარაკება ჰქონოდეთ, რომ ჩინეთის საქმე დამოუკიდებლად გადასწყვიტონო, არც ამის შესახებ მიუღია რაიმე ცნობა მთავრობასო. ბროდრიკი იუწყება, რომ ამ ბოლო ათს კვირაში სამხრეთ აფრიკის ომი საშუალო რიცხვით კვირაში ერთ ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდებაო.

განცხადებანი

11 აპრილს, საღამოს 8 საათზე **სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემენარიის სამზრუნველოს საბჭოში საჯარო ვაჭრობა მოხ დება**, რომელზედაც გაიყიდება სემენარიის ორ-სართულიანი სახლი 26 ოთხ კუთხ საჟენ მიწითურთ, მე ნაწილში, კუთხის ქუჩაზედ. ეს მამული დაფასებულია 2000 მანეთად.

(2—94—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 10-го Апрѣля 1901 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.